სახალხო გაზეთი

№ 511 შაბათი, 28 იანვარი 1912 წ. № 511

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ [illegible] თვით მხოლოდ დიდი წერილები და [illegible] პარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა.

ფოსტის ადრესი: წერილებისათვის და ფულისათვის Тифлисъ, газ. Сахалхо газети, п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ტფილისი ... საჯარო ბიბლიოთეკა

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

სურათებიანი დამატება!

მიიღება ხელის-მოწერა

წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) მიიღებენ სალიტერატურო კრებულს გ რ დ ე მ ლ ს.

თებერვლიდან წლის ბოლომდე ღირს 8 მან.

ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან**, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

ამით ვაცხადებთ, რომ

„სახალხო გაზეთს“

ხელის მომწერთა შემკრები აგენტები არსად არა ჰყავს გარდა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების **ტფილისის** წიგნის მაღაზიისა და ამიტომ ვინც **პირდაპირ „სახალხო გაზეთის“ კანტორიდან არ იწერს გაზეთს—პასუხსაც არ ვაგებთ.** ყველა წიგნის მაღაზიას შეუძლიან მიიღოს ჩვენ გაზეთზე ხელის მოწერა მხოლოდ თავისი პასუხის მგებლობით და ამიტომ ხელის მომწერლებმა პასუხისმგებლობაც მათ უნდა მოსთხოვონ.

კვირას, 29 იანვარს, გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

გრიგოლ პავლეს ძის ტატიშვილის

(ქ ს ი ლ ო გ რ ა ფ ი ს)

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ განსვენებულის ქვრივი **მინადორა დიმიტრის ასული და შვილები იოსებ და შალვა ტატიშვილები.** წირვის შემდეგ იქნება პანაშვიდი.

(2—1077—1)

ქართული თეატრი

შაბათისთვის, 28 იანვარს, დანიშნული ვერდის ოპერა

რიგოლეტო

ვანო სარაჯიშვილის ავადმყოფობის გამო

გადაიდო.

წარმოდგენის დღე გამოცხადებული იქნება.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

ლამბაშიძე ვ. დ. (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
ქიქოძე ტ. ს. (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
მალალაშვილი გ. გ. (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
მანსვეტაშვილი ვ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

მარკევიჩი ვ. ლ. კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
ფირადოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1.

ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
სულაკოვი ა. ი. (ყოველ დღე) 12—1.
თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.

ლამბაშიძე ვ. დ. (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს.
მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
ფედოროვი ე. გ (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

გედევანიშვილი მ. ა. (შაბათობით) 10½—11.
დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.

ათენიანცი ნ. ა. (ყოველ დღე) 1—2.
ორემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 2½—3.

მუსხელიშვილი ვ. ს. (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.

მზარეულიშვილი მ. ი. (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann-რჩევისათვისა 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. შშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ **წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა. ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—255/

ა. ს. ზ ა ზ ო ვ ი

სთხოვს **ბინის ყველა მოქირავეთა,** მობრძანდნენ **ქალაქის საბჭოს დარბაზში,** (მისავალი ველიამინოვის ქუჩიდან), ხვალ, **კვირას, 29 იანვარს,** შუადღის 12 საათზე „ბინის დამქირავებელთა და იაფ სადგომების პატრონთა საზოგადოების“ წესდების პროექტის განსახილველად, რომელიც შემუშავებულია ბინის დამქირავებელთა განსაკუთრებულ კომისიის მიერ.

(1.204.1)

სახაზინო თეატრი

სამშაბათს, 31 იანვარს,

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

დადგმული იქნება **ოპერა** უჩინისა: **გ ო გ ე მ ა,**

კნ. ე. მ. თარხნიშვილის, ქ-ნ შმიდტისა და ბ-ნთ ევლახოვის, ლაზარევის, სერგეევისა და სოკოლსკის მონაწილეობით.

ადგილების ფასი საბენეფისოა. ბილეთების მიღება შეიძლება წ.-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, სახლი ქართველთა თ.-აზნაურობისა, წარმოდგენის დღეს თეატრის კასაში. **დასაწყ. საღ. 8 ს.** (6—1069—5)

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** **ტელეფ. № 795.**

რადგანაც მ. მ. საფაროვ-აბაშიძის საიუბილეო წარმოდგენას ყველა მსურველი ვერ დაესწრო, ამიტომ **კვირას, 29 იანვარს,** განმეორებული იქნება **მ. საფაროვ-აბაშიძისა და ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით

პარ ზ(ე)ლი ბიჭი, კომ. 2 მ. თარგ. **მიხ. ჯორჯაძისა.**

II) **სიზმარი კოშკში** კონტური დრამისთვის 1 მ. **კონსტან ანდრონისა.**

მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა და ვასო აბაშიძის მონაწილეობით

III) **გულმა იგრძნო** ვოდ. 1 მ. ვ. აბაშიძისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **დასაწყ. საღ. 8 ს.** **ანონსი:** შემდეგ. წარმოდგ. ხუთშ., 2 თებ., ვლ. ალექსი-მესხიშვილის ბენეფისი: „დაძირული ზარი“, ჰაუპტმანისა.

(2.205.1) რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.** ✦ **ქართ. დრ. საზოგ. ადმინისტ.**

ა ხ ა ლ ი კ ლ უ ბ ი

დანიშნული **შაბათს, 28 ამა იანვარს,** წარმოდგენა ოპერისა

რ ი გ ო ლ ე ტ ო

გადაიდო არტისტ **ი. პ. სარაჯიშვილის** ავადმყოფობისა გამო და იმის მაგივრად თეატრში იქნება:

1. **ქართული ხორო**

კავსაძის ლოტბარობით.

2. **ორკესტრი** და 3. **იაფი ლოტო**

ფასები კლუბში შესვლისა ჩვეულებრივია, დასაწყისი საღ. 8½ საათზე. თეატრში შესვლა უფასოა. (1.1068.1)

„ნაძალადევის“ სცენის მოყვარეთა წრის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 29 იანვარს, 12 საათზე დღისით დანიშნულია კურთხევა ახლად აშენებულ **„ნაძალადევი“-ს** სათეატრო შენობისა, რომლისთვისაც ვიწვევთ წრის წევრებს.

გამგეობა სთხოვს წევრებს თან იქონიონ წრისაგან მიცემული საწევრო კვიტანცია, რომლის ძალითაც შეეძლებათ თეატრის დარბაზში შესვლა.

წრის გამგეობა.

„ნაძალადევი“-ს თეატრში კვირას, 29 იანვარს საღამოთი იქნება ფასიანი წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება ქართულად: **„სამზადისი“** უმიკაშვილისა და **„დედის ერთა“** ვ. გუნიასი **სვ. სვიმონიძის რეჟისორობით.**

მონაწილეობენ: ქ-ნნი ელ. ჩერქეზიშვილისა, ელ. ჩიქოვანისა და სხვ. ბ-ნნი სვ. სვიმონიძე, იოს. რომანიშვილი და სხვანი.

რუსულად იქნება წარმოდგენილი **„ქორწინება“** გოგოლისა ბ-ნ ზაგორსკის რეჟისორობით. (1—1097—1)

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო

ბ ა ნ კ ი ს

ზედამხედველი კომიტეტი

აცხადებს ურთიერთის თავდებობით ბანკიდან მსესხებელთა საყურადღებოდ, რომ ქვემოდ აღნიშნულ დღეებში, ბანკის სადგომში (ფრეილინის ქუჩაზე), დილის 10 საათზე დანიშნულია **საარჩევნო კრება** 105 რწმუნებულის ასარჩევად სამის წლის ვადით 1912—1914 წ., პირველ ხარისხისა—27 თებერვალს, მეორე ხარისხისა 28 თებერვალს, ხოლო მესამე ხარისხის—29 თებერვალს მიმდინარე წელს. საარჩევნო კრება კანონიერად ჩაითვლება რამდენი რწმუნებულიც უნდა დაესწროს. (3—1073—2)

ამ წლის პირველ თებერვლიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური ქართული გაზეთი

„ცხოვრება“

გაზეთის ფასი:

ერთი წლით . . 7 მან.	ერთ თვით ქუთაისში	80 კაპ.
ნახევარი წლით . 4 „	„ ქუთაისს გარეთ	90 „
სამი თვით . . 2 „ 50 კაპ.	საზღვარ-გარედ ერთი წ.	14 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაურად.

განცხადების ფასი:

პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი . . . . . 15 კაპ.
უკანასკნელ გვერდზე . . . . 10 კ.
სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა . 3 მან.

რედაქტორ-გამომცემელი **ბ. ჯულაყიძე.**

დროებითი ადრესი: Кутаисъ. Александровская ул. д. № 6. Савелію Трифоновичу Горгодзе.

ფული მიიღება **მხოლოდ** გორგოძის სახელზე.

(7—1078—1)

იბეჭდება და თებერვლის დამლევს გამოვა

ა კ ა კ ი-ს

ისხულების პირველი წიგნი,

რომელშიაც მოთავსებული იქნება **ახალი** ნაწარმოები ჯერ დაუბეჭდავ და აგრეთვე **ძველიც,** ზოგიერთის შენიშვნებითა და განმარტებით. წინასწარის ხელის მოწერით წიგნი ეღირება **ათ შაურად.**

ხელის-მოწერა შეიძლება ტფილისს:—წერა-კითხვის გამ. საზ. და „ცოდნა“-ს წიგნ. მაღაზიაში; ქუთაისს:—„კოლხიდის“ რედაქციაში, მთავრიშვილის წიგნის მაღაზ. და კანტ. „იმერეთში“. ბათომს ნ. ა. საბაშვილთან; ფოთს—ი. კოხრეიძესთან; ყვირილას—წიგნის მაღაზიებში. (თ. 1044.10)

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტ უ ბ ე რ კ უ ლ ი ნ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა. № 10. ტელეფ. 792. (თ 100—1534—85).

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 222)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდ ქუჩაზე, №3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

ბოჟოვსკი. ორშ., ოთხშ., პარასკ.. კვირ. 4—5 საათ.

არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყოველ დღე 9½ სათ. 1 ს.

მონსე. ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ორშაბ., ოთხშაბ., პარასკ. 1½—3 საათ.

ნოვიცკი. ქალთა ავადმყ., ყოველ დღე 1—2 საათ.

კალამკაროვი. ქალის ავად. ყოველ-დღე გარდა ხუთშაბათისა, 12—1 სათ.

უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

რიდელი. შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—1 საათ.

ბალდინა-ნოვიცკაია. ყელისა, ყურისა, ცხვირ. ყოველ დღ. 11—12 ს.

რუდენკო. შინაგ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ტერ-ნერსესოვი. ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.

იოსელიანისა ქალთა ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ბაგდოევისა, კბილ. ყოველ დღე 3—5 ს.

ლიმონი. კბილ. 10—11 ს.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს

საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (თ. 1032—47).

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 93)

ექიმი გ. მ. ღოღობერიძე იღებს ავადმყოფებს საღამოობით 4—6 საათ. წამლობა ფოსფაციდით.

კირპიჩნის შესახვევი, სახლი სვიმონოვისა, **№ 16,** ტელ. **693.** (თ--1657--27)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბა. პოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა 606 -

(წლ. 1090 261)

ელექტრონისა და რენტგენის

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოროღანოვის ქ., № 20. (წ. 1249 65).

ექიმი კბილისა იოსებ ზაქარიას ძე **კ ა ნ დ ე ლ ა კ ი**

მიიღებს დილით **9**-დან **2**-მდის და საღ. **4**-დან 5-მდის. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხავს ხელოვნურ კბილებს. ტფილისი, მიხაილოვის პროსპ. **№ 7.** **(50--1552--28)**

ექიმი ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქ. **№ 12** ს. (9—37).

ექიმი პ. ა რ დ ა ზ ი ა ნ ი შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, **№ 3.** დილის 9--12 ს. საღამოს 5--7. (25.899.50).

ექიმი ე. ი. მინასიანცი შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mnthieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., **№** 39, ტელეფონი **№** 1067. (100—1117—86).

ექიმი კბილისა და ღრძილებისა **ქ ა ჯ ა ი ა**

იღებს ავადმყოფებს დილით 9-12 ს. საღამოთი 3-6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, **№** 151 (დიდუბე). (თ, 1660.24)

ექიმი კ ბ ი ლ ი ს ა **ნინო რცხილაძე**

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10 2 ს.-მდე და საღამოს 5 7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. **№ 5.**

ექიმი ი. ი. ბ ე რ ი შ ვ ი ლ ი სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყოფობას. ვასსერმანის რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

ავადმყოფთა მიღება ნაშუადღევის 3—5½ საათამდე, **ელისაბედის ქუჩა,** № 94, სათოსტო განყოფილების პირდაპირ. (თ.—183—12)

ნ ა რ კ ვ ე ვ ი

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

მკითხველებს ეხსომებათ, თუ რა პასუხი გასცა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ზოლოტარევმა სახელმწიფო სათათბიროს ოდესის ქალაქის უფროსის უკანონო მოქმედებათა შესახებ შეკითხვაზე. მინისტრმა აღიარა ტოლმაჩევის მიერ უკანონო მოქმედებათა ჩადენა და ის აზრი გამოსთქვა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს არ შეეძლო ტოლმაჩევისათვის შენიშვნა მიეცა, რადგანაც იგი, როგორც სამხედრო

გენერალ-გუბერნატორი, მთავარ სარდალს ექვემდებარებაო.

გაზეთი „რუსკია ვედომოსტი“ ეხება ამ შემთხვევას და სწერს:

> შინაგან საქმეთა მინისტრმა თავის დროზე განუმარტა გენ. ტოლმაჩევს, რომ მისგან ოთხი პროფესორის წინააღმდეგ მიღებული ზომები კანონს ეწინააღმდეგება, მაგრამ ტოლმაჩევმა უპასუხა: ჩემგან მიღებული ზომები კანონს არ ეწინააღმდეგებაო. მერე კი აღმოჩნდა, რომ გენ. ტოლმაჩევის განკარგულებას მინისტრი ვერ შეეხებოდა, რადგანაც, კანონის ძალით, მინისტრის უფლებანი არ ვრცელდება იმ ადგილებზე. რომელშიაც სამხედრო წესებია გამოცხადებული. უკანონო განკარგულებანი ვერ გააუქმეს, კანონი ძალმომრეობით იქმნა შეცვლილი, მცხოვრებლების უფლებანი უკანონოდ შეზღუდეს და ყველა დაწესებულებანი, რომელთა მოვალეობასაც კანონიერობის დაცვა-განმტკიცებაა, უძლურნი აღმოჩნდნენ, აღედგინათ უფლება და ძალა გაქელილის კანონისა“.

ასევე უკანონოდ მოიქცა გენ. ტოლმაჩევი არჩევნების წინასწარ აგიტაციის შეზღუდვით; ეხლა სამინისტროს წარმომადგენლები გულახდილად აღიარებენ, რომ გარდა ზოგიერთ მომზადებულ კრებებისა ამა თუ იმ კანდიდატის შესახებ მსჯელობა ყველგან ნებადართულია. ამისათვის გაზეთები, რომელთაც კანდიდატები გამოაქვეყნეს, კანონს არ გადასცილდებიან. უკანონობა ჩაიდინა ქალაქის უფროსმა, რომელმაც გაზეთებს კანდიდატების გამოქვეყნება აუკრძალაო. გაზეთი აღნიშნავს იმ სრულიად არა ნორმალურ მდგომარეობას, რომელსაც მთავრობის ასეთი ახსარება იწვევს და ამბობს:

> „კანონიერების განმტკიცება—ეს ხომ ისეთი მოთხოვნაა, რომელზედაც სიამოვნებით აწერენ ხელს ზომიერი და თითქმის უკიდურესი მემარჯვენენიც! მაგრამ განა შესაძლებელია არსებულ პირობებში კანონიერობის განმტკიცება, როდესაც შეკითხვის საპასუხოდ მთავრობის წარმომადგენელი გულახდილად აღიარებს: მართალია, უკანონო მოქმედებას ადგილი აქვს ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ მათი მოსპობა შეუძლებელიაო.

სახელმწიფო საბჭო

დეპეშები.

სხდომის დაწყებისას თავმჯდომარემ **აკიმოვმა** სიტყვა წარმოსთქვა გრაფ მილიუტინის გარდაცვალების გამო: დიდებული მოხუცი გარდაიცვალა, რომელმაც რუსეთს უდიდესი სამსახური გაუწიაო და მოითხოვა ფეხზე ადგომით პატივი ეცათ მის ხსოვნისათვის.

გააგრძელეს კამათი საყოველთაო სწავლის პროექტის შესახებ.

მომხსენებელი **შვარცი:** სამრევლო სკოლებს რომ სარგებლობა მოაქვთ, ამის წინააღმდეგი აქ არავინაა, მაგრამ საქმე იმაშია, როგორი კრედიტის ფიქსაცია უფრო უმჯობესია: ერთ კანონ-პროექტით, თუ ორით. კომისიის აზრით უმჯობესია ორი კანონ-პროექტით, მაგრამ სულ ერთია სხვა უწყებათა სკოლებისთვის ხარჯი მაინც ამ უწყებათა ხარჯთაღრიცხვაში იქნება აღნიშნულიო.

დონეცკი. უმცირესობის აზრს ემხრობა. უმცირესობის სურვილია, რომ სამრევლო სკოლები სინოდის უწყებაში დარჩეს და სამინისტროს სკოლებთან შედარებით სხვა დებულებათა მიხედვით იწარმოვონ. თუ სათათბირო უმრავლესობის პროექტს მიიღებს, მას არავითარი საფუძველი არ ექნება უარჰყოს უმცირესობის პროექტიო.

არქიეპისკოპოსი ანტონი. სამრევლო სკოლებს დიდებული ისტორია აქვთ, მათ დიდი ღვაწლი მიუძღვით ხალხის განათლების წინაშე. ეკლესია არასოდეს არ დასთანხმდება დასთმოს თვისი უფროსობა მათზე. თუ კანონ-პროექტს მიიღებთ, შეურაცხყოფას მიაყენებთ ეკლესიას და უნდობლობას გამოუცხადებთ სამღვდელოებასო.

სტიშინსკი. სამრევლო სკოლები აღმოცენდა სამღვდელოების თავგანწირულ, კეთილშობილ და მძიმე შრომის შემწეობით. პირველსავე წელიწადს სამღვდელოებამ 20,000 სკოლაზე მეტი დაარსა და მთავრობისაგან არც ნივთიერი და არც ზნეობრივი დახმარება არ მიუღია. მხოლოდ მეოთხმოცე წლებში გაუწია დახმარება სასულიერო უწყებას სახელმწიფო ხაზინამ. მაგრამ მაშინაც კი ბიუროკრატიულ წრეებში, რომელთაც ლიბერალური რწმენა შეეთვისებინათ, ყურადღებას არ აქცევდნენ სამრევლო სკოლებს. წინად საბჭოში ხშირად აღიძროდა ხოლმე საკითხი, რომ ყველა სკოლები განათლების მინისტრს დაექვემდებარებოდა. დღეს სათათბირო აღმოჩნდა ძველი ბიუროკრატიულ სფერმათა მისწრაფების მემკვიდრედ. შეუძლებელია შეზღუდოთ მართმადიდებელი ეკლესიის უფლებანი, რომ ამით ძირითად კანონებს არ შეეხოთ.

ვასილიევი უმრავლესობის აზრს იცავს.

უმრავლესობის პროექტს მხარს უჭერს **ენგელ გარდტი** და ამბობს: არავინ არ უარჰყოფს სამრევლო სკოლების სარგებლობას, მაგრამ მათ შესახებ ჩვენ მაშინ გვექნება მსჯელობა, როდესაც სინოდი სათანადო კანონ-პროექტს წარმოგვიდგენსო.

გრაფი ვიტტე. კანონ-პროექტი, ჭეშმარიტად, რუსული ეროვნული პროექტია, რადგან ნამდვილი ნაციონალიზმი სხვა ეროვნებათა დაჩაგვრაში კი არ გამოისახება, რომელნიც ღირსნი გახდნენ რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობისა, არამედ ისეთ ზომების მიღებაში, რომელნიც რუსეთის კულტურას აღამაღლებს და მის სამხედრო ძალას განამტკიცებს. მიეცით რუსეთის ერს, რომელმაც სისხლით შემოიერთა განაპირა ქვეყნები და დიდხანს თვისი ხარჯით ინახავდა, უფლება დახარჯოს თვისი „გროშები“ განათლებაზე. რუსის ერის კულტურულ განვითარებაზე მხოლოდ გროშებს ჰხარჯავენ, მიუხედავად ამისა სიამაყით შეიძლება ითქვას, რომ უბირი ხალხი თუ წიგნებში განვითარებული არაა, სამაგიეროდ იგი სულიერადაა კულტუროსანი. ამ მხრივ რუსეთი, თითქმის განსაკუთრებით წყნარი, ნივთიერად ხელმოკლე და ხშირად დამცირებული, სამღვდელოების მადლიერი უნდა იყვეს. დიდი პოლიტიკური შეცდომა იქნება, თუ ჩვენ მართლმადიდებელ სამღვდელოებას სახალხო განათლებაში დამოუკიდებელ როლს ჩამოვართმევთ, ამისათვის მე ხმას ვაძლევ კრედიტს როგორც სამინისტროს სკოლებისას, ისე სასულიერო სკოლებისასაც.

სტიშინსკი. ამტკიცებენ, რომ კომისია თანაგრძნობით ეკიდება სამრევლო სკოლებს, ნამდვილად კი უმრავლესობის პროექტის მიღება ყოვლად შეუწყნარებელია. იგი სათათბიროს პროექტზე უფრო ცუდია, ვინაიდან სასულიერო უწყებას გაკოტრებას უქადისო.

საბჭო იწყებს პროექტის მუხლობრივ განხილვას.

დურნოვო. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის განმარტებამ სრულიად ვერ დამაკმაყოფილა. თუ კრედიტის ფიქსაციას მივიღებთ, გავა ცოტა ხანი და კვლავ დაგვჭირდება სასკოლო შენობათა და საოსტატო სემინარიებისათვის ფულის გადადება. ეს იმ დროს, როდესაც ყოველ მხრივ ბურუსია ჩამოწოლილი. სამხედრო საქმეზე ჩვენ ცოტას ვხარჯავთ და ამისთვის ბევრი უწესოება სუფევსო. ციხე-სიმაგრეებს აღარ აგებენ, ჯარს ნახევრად საკვები არა აქვსო. ეს კიდევ საკითხია, რა უფრო ხელს უწყობს ხალხის კეთილდღეობას, სკოლები, თუ მაგ. გაწესრიგებული მიმოსვლა და სხვა? შეუძლებელია მარტო სკოლებზე დავემყაროთ, საჭიროა შეძლების დაგვარად ყველაფერი ვიქონიოთ. ცხადია, რომ კანონების შექმნაში აჩქარებას მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლიან და სათათბიროში კი მასწავლებლების ჯამაგირების მომატების მუხლი მხოლოდ შრომის ჯგუფის შესწორებამ წარმოშო და გამოანგარიშებული კი არ არის, თუ რამდენი დასჭირდება ამ საქმეს.

თავმჯდომარის წინადადებით მილიუტინის ასულს, გრაფ მილიუტინის გარდაცვალების გამო, თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნეს.

შემდეგი სხდომა ხვალ მოხდება.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **გორის ეპისკოპოსი ანტონი** 26 იანვარს, საღამოს მატარებლით, პეტერბურგიდან ტფილისს დაბრუნდა.

✦ **ტფ. მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. პ. ი. თუმანიშვილი** ამ ჟამად პეტერბურგშია, სადაც სიღნაღ-ზაქათალა-ნუხა-შემახა-ბაქოს რკინის გზის კონცესიის მიღებაზე შუამდგომლობს.

✦ **სამუნიციპალო მუზეუმი** შევსებულ იქმნა თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის წერილებით, რომელნიც ა. ი. ხატისოვმა განსვენებულ ქალაქის მოურავის ქაღალდებში იპოვა. ამას გარდა ქალაქის მდივანმა მ. ა. ჯაბარმა არქივში იპოვა და სამუნიციპალო მუზეუმს გადასცა სურათი იმ გვირგვინისა, რომლითაც თავ. კ. ბებუთოვმა ტფ. ქალაქის საბჭოს დავალებით მწერლის ტურგენევის კუბო შეამკო.

✦ **ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისია** თავის თავმჯდომარეს 30 იანვარს აირჩევს.

✦ **თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი** გუბერნატორმა ქალაქის გამგეობის წევრად დაამტკიცა, თანახმად ქალაქის საბჭოს არჩევისა.

✦ **ავლაბრის კლუბის** მამასახლისთა საბჭოს დღეს კრება აქვს. საბჭო დანიშნავს იმ დღეს, როდესაც მოწვეულ უნდა იქმნეს საგანგებო თათბირი ავლაბარში საქალებო გიმნაზიის გახსნის თაობაზე.

✦ **საბოტანიკო ბაღში** რამდენიმე შენობის ასაგებად მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა 7,500 მან. გადასდო.

✦ **ტფ. სასულიერო სემინარიის რექტორი** არქიმანდრიტი იეროფეი ბაქოს გაემგზავრა სასულიერო უწყების დაწესებულებათა დასათვალიერებლად.

✦ **კავკასიის საექიმო ნაწილის გამგე ფეხნერი** ბაქოს გაემგზავრა, სადაც უკვე შესდგომია საექიმო დაწესებულებათა რევიზიას.

✦ **ნავოსნობა მტკვარზე.** როგორც თავის დროზე ვწერდით, ვინმე სუსლოვს განუზრახავს გორიდან ევლახამდე მტკვარზე ნავოსნობა მოაწყოს. გზათა სამინისტრომ აზრი გამოსთქვა, რომ სუსლოვის მუშაობის ნება მიეცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწინდრად იმ ფულის 5% წარადგენს, რაც მთელი ეს საქმე დაჯდება.

✦ იალტაში ფილტვების ავადმყოფობით გარდაცვლილა **დიმიტრი ალექსის ძე გრაფი მილიუტინი.** განსვენებული ერთი მონაწილეთაგანი იყო საგლეხო რეფორმის შემუშავებისა და საერთოდ იმპერატორ ალექსანდრე I უახლოებლესი თანამშრომელი. გრაფი კავკასიაშიაც მსახურობდა და შამილთან ომშიაც-ღებულობდა მონაწილეობას.

✦ თანახმად მინისტრთა თავჯდომარის კოკოვცევის მოწერილობისა, კავკასიის ნამესტნიკმა წინადადება მისცა კავკასიის გუბერნიების უფროსებს, ყურადღება მიაქციონ, რათა ქალაქებმა სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა დროზე შეადგინონ ხოლმე.

✦ **მეპურეებმა** გუბერნატორს სთხოვეს, აიძულეთ ქალაქის გამგეობა, რათა პურის ნიხრის საკითხი დროზე განიხილოსო. გუბერნატორმა თხოვნა ქალაქის გამგეობას გაუგზავნა.

✦ **კიდევ ხმოსანი აპრიამოვი.** როგორც გუშინ ვწერდით, აპრიამოვმა ხმოსნობას თავი დაანება და ქალაქის გამგეობას კვლავ ის ადგილი სთხოვა, რომელსაც ამ ორის თვის წინად „ავადმყოფობის გამო“ თავი დაანება. ქალაქის გამგეობამ 26 იანვარს თხოვნა განიხილა და დაადგინა „ავადმყოფი“ კვლავ მიიღოს ბუჰგალტრად იმის და მიუხედავად, რომ ქალაქის მთავარი ბუჰგალტერი ამტკიცებდა, ბუჰგალტერიის შტატი სრულია და არავისი მიღება არ არის საჭიროო. აპრიამოვს წელიწადში 1800 მან. ჯამაგირი ექნება.

✦ გუბერნატორმა ქალაქის მოურავსა და პოლიცმეისტერს წინადადება მისცა, ზომები მიიღონ, რათა ტფილისში **ხორცი** ნიხრის ზემოდ არ იყიდებოდეს.

✦ **ახალი ჟურნალი.** გუბერნატორმა ნება დართო ავეტიქ არასხანიანცსა, გამოსცეს ტფილისში ყოველ-თვიური სომხური ჟურნალი „მურჩ“ (ჩაქუჩი).

✦ **საოჯახო სიების** შესადგენად 1 თებერვალს ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით კრება უქმნება საგანგებო კომისიას, რომელშიაც შედიან: სა[illegible] სამხედრო საკრებულოს წევრი [illegible], ქალაქის გამგეობის [illegible] გამგე პ. მ. არღუთინსკი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი ს. ჭრელაშვილი, ქალაქის სამხედრო საკრებულოს საქმის მწარმოებელი თავ. ერისთავი და სხვანი.

✦ **„ესპერანტო“.** 29 იანვარს, დილის 11 საათზე, ვაჟთა პირველ გიმნაზიის სადგომში საერთაშორისო ენის „ესპერანტო“-ს კურსები (ოთხის თვისა) გაიხსნება. სწავლა კვირაობით იქნება. ფასი ერთი მანეთია.

✦ ხმოსანმა ი. სულაბერიძემ ქალაქის გამგეობას განცხადება წარუდგინა, სადაც ქალაქს ვერაზე **საავადმყოფოს** განყოფილების გახსნას აუცილებელ საჭიროებად აღიარებს.

✦ **ქალაქის სამხედრო საკრებულომ** 26 იანვარს ახლად გამოცხადებულ ახალგაზრდათა შემოწმების შემდეგ სამხედრო სამსახურში ჩარიცხა ერთი კაცი. 1911 წელს ჯარში ჩასარიცხთა სრულს კომპლექტს ამ ჟამად 26 კაცი აკლია.

✦ 29 იანვარს ტფილისში 36 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები

✦ კვირას, ამა თვის 29-ს, დილის 11 საათზე **დეპუტატთა საკრებულოში** შესდგება კრება, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხი, თუ როგორ შეიძლება შესდგეს „სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა „ინფუზორიის“ მიწის დასამუშავებლად ახალციხის მაზრაში.

გორი.

✦ **ადგილი სემინარიის შენობისთვის.** საგანგებო კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა ფულის შეგროვება გორის საოსტატო სემინარიის შენობის ადგილის შესაძენად, უკვე შეაგროვა საჭირო თანხა. ამ ფულით ყიდულობენ 5 დესეტინა მიწას, რომელიც სემინარიის ახლანდელ შენობის ახლოს მდებარეობს, ნასყიდობის ქაღალდის მისაღებად ტფილისში რწმუნებულნი გაიგზავნენ. ახლა იმედია, რომ შენობის აგებას დაბრკოლება აღარ გადაეღობება. შენობის აგებას კისრულობს ხაზინა, რომელსაც 225,000 მან. აქვს გადადებული ამ საქმისთვის.

მ. მ. საფაროვ-აბაშიძის დღესასწაული

ჩვენ ყველას თვალები გვეცრემლებოდა ამ ბრწყინვალე დღეს, სული გვეხუთებოდა, რაღაც მძიმე ლოდივით გვაწვა გულზე.

ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიიდან

VI

ატომისტური სკოლა.

ფილოსოფიური აზროვნების კანონიერი პირმშო ნივთიერებაა და არა სული. ბერძნულს კოსმოლოგიურს სპეკულაციაში მატერია შევიდა როგორც ყოვლის შემძლე პრინციპი, მოძრაობით, აქტივობით და ცხოველმყოფელობით აღჭურვილი. მაგრამ შემდეგ პლატონის იდეალიზმმა და ქრისტიანულმა თეოლოგიამ ის განსძარცვა ყოველივე ნიჭისა და შემძლებლობისაგან და სავსებით პასიურ მასსად აქცია. ამიტომ ეხლა მოაზროვნე ადამიანი ხშირად სრულიად გულწრფელად ჰკითხულობს გაკვირვებული: სადაა მატერიის მოძრაობის პირველი მიზეზი და რას გამოჰყავს ის აბსოლუტური უმოქმედობისაგან?

ეს გაკვირვება სრულიად უსაფუძვლოა. ახალი ბუნების-მეტყველება ხელ-ახლა დაუახლოვდა ძველს ნატურფილოსოფიურს შეხედულების მატერიას, იმ მხრივ, რომ მოძრაობა და ძალა მის შინაგანს, იმმანენტურს პრინციპად აღიარა. თანამედროვე მეცნიერების მიხედვით ნივთიერების ბუნებრივი მდგომარეობა მოძრაობა და არა უმოძრაობა. მატერიალურ მოვლენათა ასახსნელად მატერიალური მიზეზია საკმაო და ამ ბუნებრივი მიზეზობრივობის ჯაჭვი არსად სწყდება, ის არსად სულიერი ძალის დახმარებას არ საჭიროებს. როგორც პონდერაბულ ნივთიერების გაუმჭვირვალობა და სიმძიმე, ისე იმპონდერაბილიები, ე. ი. სინათლე, სითბო, რადიოაქტივობა, ელექტრონი და მაგნეტიზმი აშკარად მოწმობენ, რომ მატერია არ არის ტიტველი, უმოძრაო პრინციპი.

მაგრამ ის გარემოება, რომ მატერიალიზმი უფრო ხნიერია ვიდრე სპირიტუალიზმი, კიდევ არ კმარა მისი უპირატესობის დასამტკიცებლად. უფრო საყურადღებო ის არის, რომ მატერიალიზმმა იმ ფორმაში, რომელშიაც ის ჩამოყალიბდა ბერძენ ატომისტების წყალობით, ბევრად მეტი სამსახური გაუწია პოზიტიურს მეცნიერებას, ვიდრე მისმა მოწინააღმდეგემ. ყოველს შემთხვევაში ახალი დროის ბუნებისმეტყველების სატრიუმფო გამარჯვებანი მხოლოდ მას შემდეგ შეიქმნენ შესაძლებელნი, როცა გალილეიმ, კასსენდიმ, ჰობსმა და დეკარტმა ძველი მექანიკური და ატომისტური მსოფლიო მხედველობა აღადგინეს და შეასწორეს. ატომისტური ჰიპოტეზის ნაყოფით როგორც მრავალი განსაცვიფრებელი ტეხნიკური აღმოჩენანი, ისე ის შეუჩერებელი წინსვლა ბუნების თეორეტიულს ახსნაში, რომლის მოწმედ ოთხი უკანასკნელი საუკუნე გახდა.

მაგრამ მეორე მხრივ რაც უფრო წინ მიდის ბუნების მეტყველება, მით უფრო ნათელი ჰხდება ატომისტურ ჰიპოტეზის განსაზღვრულობა. მას ძალუძს დამაკმაყოფილებლად განგვიმარტოს უურთულესი მატერიალური მოვლენანი, მაგრამ უუბრალოესი სულიერი განცდა მისთვის დღესაც ისეთივე ამოცანაა, როგორიც ამ ოცდა ხუთი საუკუნის წინად იყო. მას ძალუძს მეცნიერულად ნათელჰყოს ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური ცვლილებანი, მას ძალუძს ახსნას ფიზიოლოგიური პროცესი, რომელიც ურთულეს ორგანოში, ე. ი. ადამიანის ტვინში სწარმოებს, მაგრამ როცა საკითხი იმ ფსიხიურს განცდამდე მიდის, რომელიც ამ პროცესთან არის შეკავშირებული, მაშინვე აშკარა ჰხდება მთელი მისი უილაჯობა უდიდესი საიდუმლოების წინაშე. ატომი ატომად რჩება, ე. ი. გაუმჭვირვალს და ექსტენსიურს ნივთიერებად, ხოლო სულიერი განცდა სულიერ განცდათ, ე. ი. სუბიექტის შინაგანს მდგომარეობად. როგორ შეიძლება ამ უკანასკნელის გამოყვანა პირველთა კომბინაციებისა და მოძრაობათაგან? ამ ძირითადი საკითხის წინაშე ლოგიურად განსაზროვნებულის მატერიალიზმს მხოლოდ ორი შესაძლებლობა დარჩენია: ან სრული უარყოფა ფსიხიური განცდათა რეალობისა ჰობსივით ან და მარტივი და კეთილსინიდისიერი „ignorabimus“ („არ ვიცი“) დიუბუა-რეიმონდივით.

ატომისტური ფიზიკის მამამთავარს **ლეოკიპოსს** ისტორია დედინაცვლურად მოექცა. ეჭვი არ არის, რომ ორიგინალობის მხრივ ის არ ჩამორჩება თავის დიდს მოსწავლეს დემოკრიტოსს, ეჭვი არ არის აგრეთვე, რომ რამოდენიმე უმნიშვნელოვანესი ელემენტი ატომისტური ჰიპოტეზისა მას ეკუთვნის. მაგრამ მისი ერთად ერთი დიდი ნაწარმოები „დიოკოსმისი“ იმ თავითვე მიიჩქმალა, ან უკეთ ვთქვათ გაითქვიფა დემოკრიტოსის ნაწილებში, მისი პიროვნება კი სრულიად ჩაიჩრდილა ამ უკანასკნელის უკან. ეხლა ძნელია იმის თქმა, თუ როდის დაიბადა დაახლოვებით ლეოკიპოსი ან სადაურია ის წარმოშობით. ადვილი შესაძლებელია რომ ის მილეთელი იყო: ყოველს შემთხვევაში ფილოსოფიური სწავლა განათლება ჩვენს ბრძენს ელეაში უნდა მიეღოს პარმენიდესის მიმდევარის ზენონის ხელმძღვანელობით. ეჭვს გარეშეა მხოლოდ ის, რომ თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წელნი მან ქალაქს აბდერაში გაატარა; ეს ქალაქი ჩრდილოეთ საბერძნეთში მდებარეობდა თრაკიის და მაკედონი-ს საზღვრებზე და მოკლე ხნით საბერძნეთის სულიერი კულტურის ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. აქ თავისი მოძღვრების ძირითადი ელემენტები მან დემოკრიტოსს გადასცა: ამ უკანასკნელმა კი ეს მოძღვრება შეავსო, ინდუქტიურად დაასაბუთა და სისტემატიურად დაალაგა.

დემოკრიტოსი აბდერაში დაიბადა დაახლოვებით 460 წელს. ის ძლიერ შეძლებული ოჯახის შვილი იყო, მაგრამ მთელი თავისი სიმდიდრე მან განათლების შეძენას მოახმარა. საუკეთესო საშუალება ამ მიზნის მისაღწევად მაშინდელს დროში მოგზაურობა იყო და ჩვენმა ფილოსოფოსმაც ამ საშუალებას მიჰმართა. სამშობლოში ის დაბრუნდა ღარიბი, უცნობი, მაგრამ არაჩვეულებრივი ცოდნით აღჭურვილი. „ჩემს თანამედროვეთა შორის მე ყველაზედ მეტი ვიმოგზაურე, ამბობს დემოკრიტოსი, ყველაზედ მეტი გამოვიკვლიე, ბევრი სხვა და სხვა ქვეყანა ვინახულე და მცოდნე ადამიანთა სიტყვები მოვისმინე. გეომეტრიულს ცოდნაში ჩემთვის არავის გადაუჭარბებია, თვით ეგვიპტელ მიწისმზომელთაც კი არა“. სამწერლო ასპარეზზეც აბდერელმა ბრძენმა განსაცვიფრებელი ნაყოფიერება გამოიჩინა: მისი მრავალრიცხოვანი ნაწარმოებნი ეხებოდნენ თითქმის ყველა დარგს ადამიანური ცოდნისას მათემატიკით და ფიზიკით დაწყებული ლოგიკასა, ეთიკასა და პოეზიის თეორიამდე. ამ უზარმაზარ ნაშენიდან შთამომავლობას სავალალოდ მხოლოდ ნანგრევები, ფრანგმენტები და დარჩა. ამ ფრანგმენტებშიც ხშირად ძნელია ნამდვილის და ყალბის გარჩევა. მაგრამ ძველი ატომისტური მსოფლიო მხედველობის ძირითადი სქემის აღსადგენად და გასათვალისწინებლად ესეც საკმაოა ყოველს შემთხვევაში.

ფრიდრიხ ალბერტ ლანგემ თავის ცნობილს „მატერიალიზმის ისტორიაში“ (იხ. პირველი ტ., 37-48 გვ. გერმ. გამოც.) ლეოკიპოსის და დემოკრიტოსის ძირითადი რწმენა ექვს ფორმულაში გამოხატა მოკლედ და ნათლად. „არარაისგან არარა წარმოსდგება; არ შეიძლება არაფრის განადგურება, რაც არსებობს. ყოველგვარი ცვლილება მხოლოდ ნაწილების შეკავშირება და გათიშვაა“. ეს დებულება მარტო ატომისტებისათვის არ არის დამახასიათებელი და ის მათ ორიგინალურს ნაყოფს არ წარმოადგენს. პირიქით ის ძირითადი საფუძველია ყოველი ფილოსოფიური და მეცნიერული აზროვნებისა, რომელიც ვულგარული მსოფლიო მხედველობისაგან უწინარეს ყოვლისა სწორედ იმით განსხვავდება, რომ უარყოფს შემოქმედებას არარაობისგან. „ძირითადი ყოფნა“ რომ არსებითად წარმოუშობელი და გაუნადგურებელია ეს სწამდა თითქმის ყველა ფილოსოფიურს სკოლას ატომისტებამდეც, მაგრამ ამ უკანასკნელთ ეს რწმენა ნათელს ფორმულაში ჩამოასხეს და მეტაფიზიკური სიმაღლიდან ემპირიულ სინამდვილის ნიადაგზე ჩამოიტანეს.

„არაფერი ჰხდება შემთხვევით, არამედ ყველაფერს საფუძველი აქვს და აუცილებლობისგან გამომდინარეობს“. ეს დებულება სიტყვა სიტყვით ატომისტებს ეკუთვნის და მასში მათი მექანიკური შეხედულება გამოიხატა. ყოველი ბუნებრივი მოვლენა აუცილებლობას ექვემდებარება; მის შესაცნობად საჭიროა მისი მიზეზის, საფუძვლის, ე. ი. „ლოგოსის“ და არა მიზანის, „ტელოსის“ გამოკვლევა. ესაა უარყოფა ტელეოლოგიური მეთოდის, რომელიც ბუნებას მიზან-შეწონილობის მხრივ იკვლევს და ამ უარყოფამ დიდი მნიშვნელობა იქონია პოზიტიური მეცნიერებისთვის. ადვილი შესაძლებელია, რომ პრინციპიალურად ტელეოლოგიური მეთოდი ისეთივე სამართლიანი იყოს, როგორიც კაუზალურ-მექანიკურია; რეალური სამსახურის და ნაყოფის მიხედვით თუ გავსჯით ეს უკანასკნელი ბევრად სჯობს პირველს. ყოველს შემთხვევაში ბუნების მეტყველების განსაცვიფრებელი წინსვლა მხოლოდ მას შემდეგ შეიქმნა შესაძლებელი, როცა არისტოტელის ტელეოლოგია დემოკრიტოსის მექანიკურმა აუცილებლობამ შესცვალა.

„არაფერი არსებობს გარდა ატომებისა, სხვა ყველაფერი მხოლოდ ადამიანთა „მსჯელობაა“. ესაა ძირითადი დებულება ატომისტური მატერიალიზმისა, მისი ორიგინალური და მნიშვნელოვანი ნაყოფი თუ იმ ორს პირველის ფორმულაში ატომისტური მსოფლიო-მხედველობა წინამორბედთა მიერ განმტკიცებულს ტრადიციას არსებითად ითვისებს და ანვითარებს, აქ ის პირიქით იმ ტრადიციასთან ერთგვარს ოპოზიციაში იმყოფება. ელეატურმა სკოლამ უარჰყო ცალიერი სივრცის არსებობა: პარმენიდესის რწმენით „ყოფნა არის და არყოფნა (ესე იგი ცალიერი სივრცე არ არის.)“ ამის წინააღმდეგ დემოკრიტოსმა არარაობის ანუ ცალიერი სივრცის არსებობა აღიარა: „არარაობა არსებობს ისევე როგორც რამეობა“. ესაა უდიდესი ირრაციონალური ელემენტი ძველს მატერიალისტურს აზროვნებაში და სწორედ ეს ელემენტი მოწმობს ყველაზედ აშკარად მის ემპირისტულს ლტოლვას. იმიტომ რომ, ცხადია, ლოგიკურად არარაობის არსებობა შინაგანი წინააღმდეგობაა. ყოვლად შეუძლებელია რაციონალურად იმის განსაზღვრა, რომ არარაობა არსებობს ისევე როგორც რამეობა, მაგრამ ეს გარემოება ნაკლებ აღონებს იმას, ვინც ემპირიული ინტერესით არის გამსჭვალული. ემპირიულს სინამდვილეში აღსავსეა ირრაციონალური ელემენტებით, მის სფეროში ბევრი რამ მოიპოვება ისეთი, რისი გამართლებაც არ შეიძლება განყენებულ გონების სამჯავროში.

ატომისტები კი უწინარეს ყოვლისა სწორედ ემპირიული თვალსაზრისით ხელმძღვანელობდნენ. ეჭვი არ არის, მოძრაობა არსებობს სინამდვილეში, მსჯელობდნენ ისინი: ამას მოწმობს ყოველდღიური გამოცდილება. მოძრაობა კი ცალიერ სივრცის გარეშე შეუძლებელია, მიტომ რომ „სავსეს არ ძალუძს თავის სფეროში სხვა სავსე მიიღოს“. მატერია კი „სავსე“, ე. ი. აბსოლუტურად გაუმჭვირვალია. მაშასადამე, აუცილებლად არსებობს ცალიერი სივრცე, ე. ი. არარაობა. ცალიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ეს უკანასკნელი გამოხმაურებაა ჩემი საზოგადოების მიმართ, რომელსაც ულმობელმა სენმა კარგა ხანია, დამაშორა“... გვიბრძანა იუბილიარმა და გვაგრძნობინა ჩვეულებრივის ნიჭითა და ხელოვნებით მთელი ტრაგიზმი ასეთის იუბილეებისა.

მართლაც ოცდა ათი წელი, ორმოცდა ათი წელი მთელი სიცოცხლეა კაცისა. ამ ხანში კაცი გემსახურათ, შეგწირათ რაც კი რამ იყო ძვირფასი და მშვენიერი მის ცხოვრებაში და ოცდა ათის წლის, ორმოცდა ათის წლის შემდეგ უკვე წელში გატეხილს, დასუსტებულს თქვენის სამსახურით მადლობას ეუბნებით. ეს მადლი ბედნიერებაა, ვითა ჯილდო ერთგულებისა და სამსახურისა; მაგრამ თანაც იგი ერთგვარი წერტილია, ერთგვარი გვირგვინია; რომლითაც სიცოცხლითვე ამკობთ იუბილიარის არსების საუკეთესო ნაწილის საფლავს...

არტისტი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე, მდიდარი და მრავალ-ფეროვანი, ძლიერი და კეკლუცი, მოხდენილი და ალმაფრენით აღსავსე შესწირა ქართულ სცენას, რომლისთვისაც სცენა იყო „აკვანი, საზოგადოების სიყვარული იყო მშობლების მკერდი“ ეს არტისტი, ეს ადამიანი „სამუდამოდ გვეთხოვებოდა“ და, მართალი გითხრათ, ღრმა ტრაგედიულ შთაბეჭდილებას ახდენდა.

ერთ დეპეშაში სწერდნენ იუბილიარს: ქართული სცენის მკვიდრი არსებობა ცხად ჰყოფს თქვენის მოღვაწეობის ნაყოფიერებასაო.

ჭეშმარიტად, ქართული სცენის არსებობა თუ უზრუნველყოფილია, თუ ქართული სცენის საფუძველი კლდეზედ არის აშენებული იმიტომ, რომ მასა ჰყავდა იუბილიართან ერთად ნატალია გაბუნია-ცაგარლისა, ვასო აბაშიძე, ვლ. ალექსიევ-მესხიშვილი ეს პირველ ხარისხოვანი პლანეტანი ჩვენის სცენისა. და არა ერთხელ მითქვამს, არცერთ ქართველ მოღვაწეს იმდენი თავგანწირულება არ აღმოუჩენია, იმდენი მსხვერპლი არ მიუტანია სამშობლოსათვის რამდენიც ჩვენს არტისტებს. ჩვენი მწერლები ასეა თუ ისე ყოველთვის ნივთიერად მაინც შედარებით უზრუნველ ყოფილნი იყვნენ. ჩვენი არტისტები კი მშიერნი, მწყურვალნი თავს ევლებოდნენ ვითა დედამშობელი ჩვენს სცენას. მათის თავგანწირულის ცხოვრების შედეგია ის, რომ თვით იუბილიარი თითქმის ჯერ კიდევ ახალგაზდა სმენას მოკლებულია იმიტომ, რომ 50—52 წელი არტისტისთვის არაფერია და იმიტომ, რომ ევროპის სცენაზედ თითქმის ამ ხანაში იწყება არტისტის ნაყოფიერი მოღვაწეობა ჩვენი არტისტი ამ ხანში რაიმე სენით უთუოდ შეპყრობილია და სცენას თავი უნდა დაანებოს. ეს დიადი მსხვერპლი ჩვენის არტისტებისა გულში დამარხული უნდა გვქონდეს და ნიადაგ მადლობით აღსავსე უნდა იყოს ჩვენი გული. თუ ქ-ნ საფაროვ-აბაშიძის დღესასწაულმა სამგლოვიარო ელფერი მიიღო, უფრო კიდევ იმიტომ, რომ ინსტინქციურად, საზოგადოება თავისს დანაშაულს გრძნობდა, იტანჯებოდა, რომ შეუძლებლობის, ზოგჯერ დაუდევრობის, ზოგჯერ უყურადღებობის გამო ასეთს ნიჭიერს და ღონიერ არსებას ასე ადრე დაანებებინა სცენას თავი. ჩვენი სცენა რომ უკეთ ყოფილიყო მოწყობილი, ჩვენი არტისტები რომ უფრო კარგ მდგომარეობაში იყვნენ, ეჭვი არ არის, ქ-ნი საფაროვი-აბაშიძისა კიდევ დიდხანს დაატკბობდა ჩვენს სმენას, კიდევ ხშირად აღგვიტაცებდა ბედნიერებისა და სიხარულის სამეფოში თავისი ხელოვნებით.

და ჩვენ სინანულის ცრემლებით გვევსებოდა თვალები, თანაც სიხარულიც იყო ამ ცრემლებში გარეული.

მართალაც, როგორ არ უნდა ეგრძნო ბედნიერება ადამიანს, როცა ჰხედავს, რომ მისი ღვაწლი არ დაღუპულა, მისი მსხვერპლი არ დაკარგულა, რომ მისი თავგანწირულება ნაყოფიერია. და ამ დღეს სწორედ ეს უნდა ეგრძნო ყველას და ყველაზედ უფრო თვით იუბილიარს. გაჭედილი დარბაზი, ბრწყინვალე სცენა ქართულის თეატრისა. განა შეეძლო ოდესმე ეფიქრა, რომ ამგვარ განვითარებას, ამგვარ გაზრდას ქართულის თეატრისას თავისის თვალით ინახულებდა... და თან განიცდიდა უბედნიერესს წუთებს, რომელიც კი შეუძლიან მიწის შვილმა განიცადოს ამ ქვეყნად: მადლობას ერისას გულწრფელსა და გულ მხურვალეს, აღტაცებულს და სასოებით მოსილს? არა, ამაზედ უბედნიერესი წამი არ არსებობს მისთვის, ვინც თავისს სიცოცხლეს, თავისს ნიჭს, თავის მთელს ძალასა და ღონეს სწირავს საქმეს საზოგადოსა და საეროს და ჩვენ ვიცრემლებოდით... სინანულისა და ბედნიერების ცრემლები იყო ის ცრემლები.. მადლობისა და სევდით მოვპრაყულის იმედისა და სასოების ცრემლები იყო ის ცრემლები... **კიტა აბაშიძე.**

22 იანვარი 1912 წ.

ქუთაისის ვითარება

დასრულდა წერა-კითხვის საზოგადოების ქუთაისის განყოფილების კრება, რომელმაც მოლოდინის წინააღმდეგ მშვიდობიანათ ჩაიარა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩვენი ორატორების პირ-წყლიანობას, რომელიც იქამდისაც კი მიდის, რომ წინა ორატორის გამოთქმულ აზრს შემდეგი თითქმის იმავე სიტყვებით იმეორებს და ჰგონია ამერიკა აღმოვაჩინეო. სხვა მხრივ კრებამ მშვიდობიანად ჩაიარა.

აღსანიშნავია ერთი ამბავი. ქალაქის ნამოურავილმა ბ-მა დავით ლორთქიფანიძემ აღძრა საკითხი იმის შესახებ, რომ განსვენებულ ნიკოლოზ ღოღობერიძეს აზრად ჰქონდა მისგან ნაანდერძევი 45000 მანეთი ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებლებზე დახარჯულიყო და ამიტომ შუამდგომლობა უნდა აღეძრათ, ეს ფული ქუთაისის განყოფილებას გადმოეცესო.

სიკვდილის ორი თუ სამი კვირის წინად,—სთქვა ბ-მა ლორთქიფანიძემ, ლაპარაკი მქონდა განსვენებულ ღოღობერიძესთან და მაშინ მითხრა, რომ ჩემი ანდერძი უნდა შევცვალო იმ სახით, როგორც მე მოგახსენეთო. ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, ბ-მა ლორთქიფანიძემ თემობრივ ინტერესებზე ჩამოაგდო ლაპარაკი, კრების სასახელოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი გულცივად შეჰხვდა ამ წინადადებას და ერთხმად უარჰყო იგი. ხოლო კერძოთ ორატორებმა, და მათ შორის, კრების თავმჯდომარემ პატივცემულმა გიორგი ზდანოვიჩმა აღნიშნა, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოება და მისი მთავარი გამგეობა მთელი ქართველობის დაწესებულებაა, იგი ერთნაირად ზრუნავს ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიების მცხოვრებლებზე და უადგილოა თემობრივ ინტერესებზე ლაპარაკიო.

ინციდენტი ამით გათავდა.

აქვე მოგვყავს კრების გადაწყვეტილებანი.

უბედურ დღეზე დაბადებული საკითხი ქუთაისის წყალსაყვანის გაკეთების საქმე. ჯერ ერთი წელიწადი არ არის მას აქეთ, რა ქალაქის გამგეობამ ხელი მოაწერა ხელ შეკრულობას კანცელთან და დადიანთან. მაშინდელი გამგეობა სიხარულით აღარ იყო, რომ საქმე დაავგირგვინა. ეხლა გარემოება შეიცვალა. ქალაქის მმართველ წრეებში დამყარდა სამართლიანი შეხედულება, რომ კონცესიის წესით განხორციელება წყლის გაყვანისა და სხვა ამგვარ საქმეებისა ქალაქისათვის საზარალოა და კანცელის ხელშეკრულება უმრავლესობას აღარ აკმაყოფილებს. ნამესტნიკის კანცელარიის აზრი ამ საგანზე სრულებით ეთანხმება ქალაქის გამგეობისას, მაგრამ მაგარი ის არის, რომ აქამდის თუ კანტელი ნაზობდა და თითქო ზანტად ეკიდებოდა წყლის გაყვანის საქმეს ქუთაისში, ეხლა ორივე ხელით ჩაებღაუჭა ქუთაისის ამ საქმეს და ხელიდან გაშვებას აღარ აპირობს. გაუგია თუ არა კანცელს რომ ნამესტნიკის კანცელარია საზარალოდ სცნობს ქალაქთან შეკრულ პირობას, დაუყოვნებლივ განუახლებია, მზად ვარ იმ პირობით გამოვიყვანო ქუთაისში წყალი, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის განმარტებაში არის აღნიშნულიო. ეს იმის თქმაა, რომ ოღონდა ხუ ჩამომართმევთ საქმეს და მზადა ვარ უარეს პირობებში ავიღოო. ამას ამბობს ის კაცი, რომელიც ერთის წლის წინად ისე იქცეოდა, თითქო ქუთაისს დიდ ვალსა სდებდა, რომ წყლის გამოყვანას აპირებდა. სამაგიეროდ ეხლა ქალაქი გაურბის ბ-ნ კანცელს და იმის ფიქრშია, რომ გამოარკვიოს — დაჰკარგა თუ არა ძალა შარშან თებერვალში ხელმოწერილ ხელშეკრულებამ. ამ კითხვის გამოსარკვევად ქალაქის საბჭომ შეადგინა იურისტთა კომისია, რომელმაც ეს საკითხი უნდა გამოარკვიოს.

საზოგადო კრება.

ქ. შ. წ. კ. გ. ქუთაისის განყ. წევრთა.

22 იანვარს 1912 წელს.

კრება გახსნა გამგეობის თავმჯდომარემ ბ-ნ გიორგი ზდანოვიჩმა, რომელმაც აუწყა კრებას, რომ, თუმცა წესდების ძალით განყოფილების თავმჯდომარე თავმჯდომარეა საზოგადო კრებისაც, მაგრამ გამგეობამ სურვილი გამოსთქვა, რომ თავმჯდომარის არჩევის უფლება კრებას მიეცეს და ამიტომ წინადადება მისცა დამსწრეთ თავმჯდომარე აირჩიეთო.

თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს გამგეობის თავმჯდომარე ბ-ნი გიორგი ზდანოვიჩი და კრების მდივნად ბ-ნი პეტრე ყიფიანი.

ბ-ნ სერგო რობაქიძის წინადადებით კრება ფეხზე ადგომით პატივსცემს განსვენებულ დავით სარაჯიშვილსა და ნიკოლოზ ღოღობერიძის ხსოვნას.

შემდეგ ამისა კრებამ შემდეგი გადაწყვეტილებანი მიიღო:

1) ქუთაისის განყოფილების გამგეობამ სთხოვოს მთავარ გამგეობას და სხვა განყოფილებათა გამგეობებს გამოსთქვან თავის აზრი: აქვს თუ არა გადამწყვეტი ხმის უფლება საზოგადოების ერთი განყოფილების წევრს მეორე განყოფილების წევრთა კრებაზე?

2) დამფუძნებელ წევრთა გადაწყვეტილებით ის პირნი, რომელთაც სურვილი განუცხადებიათ განყოფილების წევრებად ჩაწერისა და ამასთან 1911 წლის საწევრო ფული გადაუხდიათ, განყოფილების წევრებად ჩაირიცხნენ.

3) განყოფილების წლიური საერთო კრება ყოველ წლივ მოიწვიონ ხოლმე არა უგვიანეს მარტის დამლევისა.

4) 32 ხმით წინააღმდეგ 14-სა გამგეობას მიენდო მომავალ კრებას წარმოუდგინოს მოხსენება საკუთარი ბინის დაქირავებისა და საქმის მწარმოებლის მოწვევის თაობაზე.

5) ნაცვლად 7 წევრისა და ორი მათი კანდიდატისა, კრებამ საჭიროდ სცნო გაამრავლოს გამგეობის წევრთა რიცხვი 12-დის და კანდიდატებისა—სამამდის.

6) გამგეობას მიენდო გამოძებნა იმ საშუალებათა, რომლების დახმარებით შესაძლებელი გახდება დაახლოვება საზოგადოების წევრთა საზოგადოების საქმეებთან. ასეთ საშუალებად კრებამ დაასახელა: წევრთა საერთო კრებების ხშირი გამართვა საზოგადოების სხვა და სხვა საქმეებზე მოსალაპარაკებლად და დამხმარე კომისიების არჩევა წევრთა შესაძენად და საზოგადოების საშუალებათა გასაძლიერებლად.

7) კრებამ უარჰყო წინადადება, რომ საწევრო გადასახადი შემცირდეს 3 მანეთიდან ერთ მანეთამდე.

8) კრებამ სასურველად სცნო, რომ სათათბირო ხმის უფლების მოსაპოვებლად დაარსდეს მცირე გადასახადი და გამგეობას დაევალა, რომ ამ საგნის თაობაზე მთავარ გამგეობას შეეკითხოს.

9) კრებამ ერთხმად მიიღო ბ-ნ გრიგოლ გველესიანის წინადადება, რომ ქუთაისის განყოფილების გამგეობამ თაოსნობა გაუწიოს ლინგვისტთა კრების მოწვევას და ამისათვის შესაფერი მოხსენება წარუდგინოს მთავარ გამგეობას განსახილველად.

10) არჩევნები.

ბარათებით არჩეული აღმოჩნდა: განყოფილების გამგეობის თავმჯდომარედ—ბ-ნი გიორგი ზდანოვიჩი, გამგეობის წევრებად: ბ-ნნი იოსებ ოცხელი, სილოვან ხუნდაძე, სამსონ ყიფიანი, ბართლომე მოსეშვილი, იაზონ ბაქრაძე, ისიდორე კვიცარიძე, ქ-ნი მელანია გველესიანისა, ბ-ნი ტრიფონ ჯაფარიძე, სვიმონ ხეჩინოვი, ქ-ნი ელისაბედ ტყეშელაშვილისა და ქ-ნი მარიამ ვარდოსანიძის-ასული.

კანდიდატებად:
ბ-ნნი [illegible], სერგო რობაქიძე და მელიტონ ბურიშვილი.

სარევიზიო კომისიის წევრებად:
ბ-ნნი: ალექსანდრე კრინიცკი, რაჟდენ კანდელაკი და რაჟდენ დათეშიძე.

დამხმარე საზოგადოება თელავში

როგორც მკითხველთ ეხსომებათ, ეს 2—3 თვე იქნება, რაც სათანადო მთავრობამ დაამტკიცა თელავის დამხმარე საზოგადოების წესდება, რომლის მიზანია სავაჭრო მაღაზიის გახსნა.

საალებ-მიცემო თანხა პაის გაყიდვით უნდა შემდგარიყო. პაი 5 მ. ღირს, რომლის გარდახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. დროებითი ხაზინადრად ამოირჩიეს მ. ცისკარაშვილი, რომელიც პაის ფულს იღებს. მას აქეთ კარგა ხანმა გაიარა და ძრიელ ნაკლებ შეიტანეს პაის ფული, სულ 43 კაცმა; პირველად-კი პაის შეძენის მსურველი ბევრი იყო.

ამის თაობაზე 22 იანვარს ამ საზოგადოების ინიციატორის თავ. ზ. რ. ქავქავაძის თაოსნობით და თავმჯდომარეობით მოხდა წევრთა კრება, 40-მდე კაცმა მოიყარა თავი, დიდხანს იმსჯელეს, როგორ განეხორციელებინათ დაწყობილი საქმე. ზოგმა ისეც-კი ურჩია, პაის ფული გაედიდებინათ, ან ვალი აეღოთ. მაგრამ მაშინ ხომ კოოპერატიული მნიშვნელობა სრულებით დაეკარგებოდა ამ ამხანაგობას, რომლის უმთავრესი მიზანი წევრთა შეერთება და საქმისადმი დაინტერესება უნდა იყოს და რაც მრავალ რიცხოვანი იქნება ეს დაწესებულება, იმდენი მეტ ხალხის მასსას მიიზიდავს და ეს-კი ერთად ერთი თავდებია საზოგადოების მკვიდრ ნიადაგზე აღმოცენებისა.

ამ დღეს კრების უმრავლესობაც სამართლიანად ამ დასკვნამდე მივიდა, რომ ისე დააყენონ საქმე, რომ რაც შეიძლება მეტი ხალხი ჩაეწეროს. ამ მიზნის მისაღწევად სხვა და სხვა საშუალებანი დაასახელეს და ბოლოს 11 კაცი ამოირჩიეს აგენტებად და მათ დაავალეს წევრების შეძენა.

ამას გარდა კოოპერაციის მნიშვნელობაზე ამ ახლო ხანში უფასო ლექციას წაუკითხავენ ბაზრის მშრომელ ხალხს, რომ გააგებინონ ამ დამხმარე საზოგადოების მნიშვნელობა-სარგებლობა და მით წერი მოიზიდონ. **დ—ი.**

სივრცის არსებობის დამტკიცებას დემოკრიტოსი სხვა ემპირიული ფაქტების შემწეობითაც სცდილობდა, მაგრამ ეს ცდა ჩვენთვის დღეს აღარაა საინტერესო. საყურადღებოა თვით მეთოდი, საყურადღებოა თვით გზა, რომლითაც ჩვენი ფილოსოფოსი თავის მეტაფიზიკურს დასკვნამდე მიდის. ეს არის მეთოდი მეცნიერული ინდუქციისა, რომელიც განცალკევებულ ფაქტებით იწყებს, რათა მათ საფუძველზე ზოგადი დებულებანი ააშენოს. ელეატელი რაციონალისტების გზა კი სწორედ ამის წინააღმდეგი იყო. მათ ცალიერი სივრცის ირრაციონალობა ლოგიურად განსჭვრიტეს და არარაობის ცნება უაზრობად აღიარეს. ამ ძირითადი მეტაფიზიკური რწმენისგან იმათ მოძრაობის შეუძლებლობა ანალიტიურად გამოიყვანეს. მოძრაობა არ შეიძლება არსებობდეს და თუ „ფაქტები“ მოწმობენ მის არსებობას, მით უარესი ფაქტებისათვის. ამ გვარად ატომისტებმა განყენებულს გონებას ქედი მოახრევინეს ემპირიული სინამდვილის წინაშე: ელეატელმა რაციონალისტებმა კი პირიქით ამ სინამდვილის მოწმობანი მოჩვენებად აღიარეს.

თანამედროვე მეცნიერებამ არსებითად ატომისტების მხარი დაიჭირა ელეატელი სკოლის წინააღმდეგ. მართალია, დღევანდელი ბუნების მეტყველება უარჰყოფს ცალიერი სივრცის შესაძლებლობას და მის ადგილზე ეგრედ წოდებულს მსოფლიო ეთერს ათავსებს, მაგრამ ერთის მხრივ ეს ჰიპოტეტიური სხეული აბსოლუტურად ელასტიური და გამჭვირვალეა და, მაშასადამე, პრინციპიალურად ნაკლებ განსხვავდება ცალიერი სივრცისგან. მეორე მხრივ ის სწორედ მოძრაობის უკეთ ასახსნელად არის ბუნების სფეროში შეტანილი. ყოველს შემთხვევაში სინათლის სითბოს, ელექტრონის და სხვა ტალღების მოძრაობის ახსნას ეთერის შემწეობით ბევრად უფრო ადვილია ვიდრე ცალიერი სივრცით.

მაგრამ ნათესაობა ატომისტების მოძღვრებასა და თანამედროვე მექანიკურს მსოფლიო მხედველობის შორის კიდევ უფრო შორს მიდის. ეს უკანასკნელი ეგრედ წოდებული „მეორე ხარისხოვან თვისებათა“ იდეალობას აღიარებს. ფერები და ხმები, გემოვნების, ყნოსვის, შეხების და ტემპერატურის შეგრძნებანი და სხ. სუბიექტიური თვისებანი არიან და ობიექტიურს რეალობაში არ არსებობენ. ისინი „პირველ ხარისხოვანს“, ე. ი. გეომეტრიულ-მექანიკურს თვისებებზე არიან დაფუძნებულნი: შემთვისებელი სუბიექტის დამოუკიდებლად მხოლოდ ეს უკანასკნელნი არსებობდნენ. ფერი ობიექტიურად ეთერის ტალღათა მოძრაობა, ხმა ჰაერის და სხ. ეს შეხედულება ბუნების შემეცნებისთვის ძლიერ ნაყოფიერი ჰიპოტეზაა*) და ახალს მეცნიერებას ლოკკის შემდეგ დაედო საფუძვლად; მაგრამ არსებითად ის უკვე დემოკრიტოსმა გამოსთქვა თავის ცნობილს დებულებაში: „მოჩვენებაა ფერი, მოჩვენებაა სიტკბოება, მოჩვენებაა სიმწარე; სინამდვილე მხოლოდ ატომია და სიცარიელე“.

„ატომთა რიცხვი უთვალავია, მათ ფორმათა სხვა და სხვაობა განუზომელი. საუკუნეთა განმავლობაში ისინი სცვივიან დაუსრულებელს სივრცეში: უფრო მოზრდილი ატომები, რომელნიც მეტის სიჩქარით ვარდებიან ვიდრე უფრო მომცრონი, ეცემიან ამ უკანასკნელთ და ამგვარად ატომთა ბზრიალს იწვევენ. ეს ბზრიალი მსოფლიოს წარმოშობის დასაწყისია: უთვალავი ქვეყნები ჩნდებიან და ხელახლა ჰქრებიან ერთი მეორეს გვერდით და მეორის შემდეგ“.

ამ ფორმულაში ნათლად გამოსჭვივის ატომისტების რწმენა, რომ მოძრაობა ნივთიერების „თანდაყოლილი თვისებაა“, მისი მუდმივი და ბუნებრივი მდგომარეობა, რომ ის გარეშე ძალას არ საჭიროებს თავის ასამოძრავებლად. აქვე გამოიხატა დემოკრიტისის დიადი წარმოდგენა ატომების „კოსმიურს წვიმაზე“, სამყაროს განუზომლობაზე რიერტის მხრივ, მის დაუსრულებლობაზე დროებაში. ეს წარმოდგენა ეწინააღმდეგება ბერძნების ტრადიციულს შეხედულება კოსმოსზე, როგორც დასრულებულს და განსაზღვრულს ერთეულზე და ახლო სდგას დღევანდელი ასტრონომიის რწმენასთან. მაგრამ შემცდარია ის აზრი თითქო ცარიელს სივრცეში უფრო დიდი ატომი მეტის სისწრაფით ეშვებოდეს, ვიდრე უფრო პატარა. თეორეტიულად გალილეიმ ხოლო პრაქტიკულად ექსპერიმენტალურმა ფიზიკამ დაამტკიცა, რომ ცალიერს სივრცეში (ანუ უკეთ ვთქვათ: უჰაერო სივრცეში), სადაც მედიუმის წინააღმდეგობა აღარ არსებობს, ყოველი ზომის სხეული ერთნაირი სისწრაფით ვარდება.

„ბუნებრივ საგანთა სხვა და სხვაობას საფუძვლად ატომთა სხვა და სხვაობა უძევს რიცხვის, სიდიდის, ფორმის და წყობილების მხრივ.“ თვისების მხრივ კი ატომთა შორის განსხვავება არ არსებობს. ატომებს არ აქვთ „შინაგანი მდგომარეობანი“: ისინი ერთი მეორეზე დაჭირების და წაბიძგების შემწეობით მოქმედებენ“.

აქ დადასტურებულია წმინდა მექანიკური მსოფლიო მხედველობა და უარყოფილია დინამიური; მატერიალური საგანთა ცვლილება მათი შეხლაშემოხლის შედეგია და არა შინაგანი ძალის. აქ დადასტურებულია აგრეთვე მკაცრი მონიზმი და უარყოფილია პლურალიზმი. ძირითადი ელემენტები ანუ ატომები, რომელთა შეკავშირება და შეხამება ყოველს ბუნებრივს საგანს უძევს საფუძვლად, არსებითად ერთი და იმავე თვისების არიან: ერთს ბუნებრივს სხეულს მეორესგან მხოლოდ მის შემადგენელ ატომების რაოდენობა არჩევს,—აგრეთვე მათი სიდიდე, გარეგნული ფორმა და წყობილება: ზოგში სჭარბობს მოზრდილი, კუთხებიანი, ნაკლებ მოძრავი ელემენტები, ზოგში კიდევ მრგვალი, პატარა და მოძრავი; ზოგში დუგმებიანი ატომებია გადახლართულ-გადაბმული, ზოგში კავებიანი, კბილებიანი; ზოგში ისინი მჭიდროდ არიან შეწებებულნი, ზოგში კიდევ უფრო თავისუფლად გადაქდობილნი.

მონისტურს ტენდენციაში თანამედროვე ბუნების მეტყველება პრინციპიალურად ეთანხმება ძველს ატომისტებს: მართალია, დღევანდელი ქიმია სამოცდაათზე მეტს ელემენტს სცნობს, რომელნიც თვისების მხრივაც განსხვავდებიან ურთიერთს შორის, მაგრამ თეორეტიული ფიზიკა და მექანიკა სცდილობს ეს სხვა და სხვაობა დასძლიოს და მატერიალური მოვლენანი ერთი ნივთიერების რაოდენობითი ცვალებადობით ახსნას. მაგრამ მეორე მხრივ დღევანდელი მეცნიერული ჰიპოტეზა უარჰყოფს ატომების განსხვავებას ფორმის და სიდიდის მხრივ: მისი შეხედულებით ატომები პაწია, უხილავი, მრგვალი ელემენტებია და მათი შეკავშირება აიხსნება არა მექანიკურ გადახლართვით და შეზავებით, არამედ ურთიერთ მიმზიდველობით“.

„სული ისევე როგორც ცეცხლი ყველაზედ ნაზს, მოძრავ მრგვალ ატომებისაგან შესდგება. მათი მოძრაობა მსჭვალავს მთელს სხეულს და ცხოვრების მოვლენებს იწვევს“.

ამ ფორმულის უკანასკნელი დებულება დამახასიათებელია არა მარტო ატომისტებისა, არამედ თითქმის მთელი ბერძნული ფსიხოლოგიისათვის და მის საერთო კუთვნილებას წარმოადგენს: ძველი ფილოსოფოსების მიხედვით სულ უწინარეს ყოვლისა ბიოლოგიური ძალა ანუ ცხოვრების პრინციპია. ამ შეხედულების სრული წინააღმდეგობაა დეკარტის რწმენა, რომლის მიხედვით ბიოლოგიური მოვლენანი მექანიკურად, ფსიხიური ელემენტის დაუხმარებლად უნდა აიხსნას, მიტომ რომ სული აზროვნების პრინციპია და არა ცხოვრების. თანამედროვე ფსიხოლოგიაც უარჰყოფს იმ კლასიკურს შეხედულებას სულზე როგორც ბიოლოგიურს ძალაზე, თუმცა მეორე მხრივ უკიდურესი ფოლუნტარიზმი (მაგ. ალფრედ ფული) თავის „იდეა ძალთა ფსიხოლოგიაში“) რამოდენიმედ ხელახლა უახლოვდება მას. — პირველი დებულება კი მხოლოდ ატომისტური და მატერიალისტური ფილოსოფიისათვის არის დამახასიათებელი და არსებითად მის ორიგინალურ ნაყოფად უნდა ჩაითვალოს. ამ დებულებაში სულის განსხვავებული, დამოუკიდებელი არსებობა უარყოფილია: ის ნივთიერ ატომების აგრეგატად არის დასახული და პრინციპიალურად არ განსხვავდება ცეცხლისაგან, რომელიც ყოველს შემთხვევაში მის ახლო მონათესავე მოვლენას წარმოადგენს. დღევანდელი მეცნიერული ფსიხოლოგია სავსებით ეწინააღმდეგება ამ ტლანქს მატერიალისტურს შეხედულებას. სულისათვის უწინარეს ყოვლისა დამახასიათებელია სინტეზი, მთლიანობა — მრავლიანობაში, აქტუალობა, შემოქმედება: ამ შემოქმედებითი სინტეზის ახსნა კი ყოვლად შეუძლებელია ნივთიერ ნაწილების მექანიურად შეზავებით.

მატერიალისტური ფილოსოფიის უსუსტესი მხარე აქ არის, მისი „აქილესის მხარე“, აქ არის, ამ ძირითადს საკითხში სხეულისა და სულის ურთიერთობაზე. ლეიკიპოსის და დემოკრიტოსის აზრით გრძნეული შეთვისება, ე. ი. რაიმეს დანახვა, გაგონება და სხვ. იმით აიხსნება, რომ გარეგნულ მატერიალური საგნების ზედა-პირს პაწია, მეტის-მეტად ნაზი ნაწილები („აიდოლები“), სცილდება და ადამიანის თვალის და ყურის ჩუჩრუტანებში („პორებში“) შედის. ამგვარად შეთვისებულ სუბიექტსა და გრძნეულად შეთვისებულ ობიექტს შორის ერთნაირი ფიზიკურ ტალღათა მიმდინარეობა არსებობს. ამ თეორიის ნაკლულევანება აშკარაა: როგორ ხდება რომ წმინდა, მექანიკური ურთიერთობა „აიდოლებსა“ და „სულის ატომებს“ შორის ფერის და ტონის შეგრძნებას, ე. ი. ფსიხიურ მოვლენას იწვევს, როცა როგორც პირველნი, ისე მეორენი მატერიალური, ექსტენსიური ელემენტებია? ამ საკითხზე პასუხის გაცემა ატომისტურს მატერიალიზმს მუდმივ გადაუხდელ ვალად რჩება.

რაც შეეხება დემოკრიტოსის ეთიკას, ის უეჭველად მგრძნობიარე და კეთილშობილი პიროვნების ნაყოფად უნდა ჩაითვალოს. უდიდესი ზნეობრივი სიკეთე ბედნიერებაა, ნაზს, შეუშფოთებელს სიხარულში რომ იხატება. უპირველესი ვალდებულება გონიერი ზომიერების დაცვაა, მიტომ რომ გადაჭარბება სიტკბოებას სიმწარედ აქცევს. გონებრივი სიამოვნება უფრო ძირითად ნატურფილოსოფიურს საკითხს, იძლევა პასუხს და სავსებით ეწინააღმდეგება როგორც ძველი იონიელების და პითაგორელების, ისე ჰერაკლეიტოსის და ელეატელების პასუხს: ანუ უკედ ვთქვათ ის ამ მხრივ სრულიად უყურადღებოდ სტოვებს ფილოსოფიურ წინამორბედთა შრომას და ხელახლა გულუბრყვილო ხალხურს მსოფლიო მხედველობას უახლოვდება.

გარეშე ქვეყანა არსებობს სწორედ ისე, როგორც ამას ჩვენი მხედველობა, სმენა და შეხება გვასწავლის: გრძნეულად შეთვისებული ქვეყანა ჭეშმარიტი გამოხატულებაა ობიქტურად არსებულისა. მაშასადამე, ამ უკანასკნელში სწორედ იმდენი ერთი მეორესგან განსხვავებული ნიჭთა შემწეობით თვისებათა ცვალებადობა არ არსებობს: „ან და როგორ შეიძლება, რომ თმა არათმის ან ხორცი არა ხორცისგან წარმომდგარიყო“? ყველაფერი დასაბამითვე ისე არსებობს, როგორც არსებობს. ამიტომ სამყაროში სწორედ იმდენივე ელემენტი ანუ ძირითადი ნივთიერება არსებობს, რავდენადაც ძვირფასი და სანუკვარია ვიდრე ხორციელი, მიტომ რომ ის უფრო ხანგრძლივი, მტკიცე და შეურყეველია. თვით ფილოსოფოსი ალბად წმინდა აზროვნების მიერ გამოწვეულს სიამოვნებას უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე პოეტურ აღფრთოვანებასთან შეკავშირებულს, მიტომ რომ მისი რწმენით „ყოველს მგოსანში ცოტა სიგიჟე მოიპოვება“.

გერონტი ქიქოძე.

---

*) ჩვენ აქ არ ვეხებით იმ საკითხს, თუ რავდენად შეიძლება მისი გამართლება შემეცნების თეორიის თვალსაზრისით: ამ მხრივ ის არ აკმაყოფილებს არც იდეალისტებს, რომელნიც გეომეტრიულ-მექანიკურ თვისებათა იდეალობასაც აღიარებენ, არც რეალისტებს, რომელთაც ფერები და ხმები ისეთივე ობიექტურ თვისებად მიაჩნიათ როგორც მოძრაობა და სხ.

არეულობა სპარსეთში

(დეპეშები)

თავრიზი. ჩამოახრჩეს ერთი სპარსელი, რომელმაც რუსის ერთ დაჭრილ ჯარისკაცს თავი მოჰკვეთა და მეორეს—ქალა აატყავა. ჩამოახრჩეს აგრედვე კატორღიდან გამოქცეული, მოსკოვის გუბერნიელი ლებედევი, რუსის ჯარზე თავდასხმაში მონაწილე.

ჩამოახრჩეს ქურთი ყაჩაღი კოტაზბეკი და მისი ამხანაგი მიქაელი, ისინი ქოი-ურმიის გზაზე ხალხსა სძარცვავდნენ და ხანტახტასთან რუსის ჯარზე თავდასხმაში მონაწილეობდნენ.

ქოის გუბერნატორი სარდარ-ასადი თემურჰანმა დაატუსაღა, მაგრამ რუსეთის კონსულის მოთხოვნილებით, გაანთავისუფლა.

ქოის ერთმა მდიდარმა ემირ-თუმანქეიდარ-ხანმა ქოის გუბერნატორად გამოაცხადა თავი.

ფიდაების ბატონობის დროს, ქეიდარ-ხანის მამული აიოხრეს. თვითონ კი მაკინის ხანთან გაიქცა.

მარანდის გუბერნატორმა შუჯაუდ-ნიზამმა ფიდაების მეთაურს მირ-ასადულს ორასი თოფისა და ხალხში მოგროვილ 200 თუმნის ჩაბარება მოსთხოვა. მირ-ასადულამ მოთხოვნილება არ შეასრულა. შეიქმნა ბრძოლა, რის დროსაც მოჰკლეს ერთი ფიდაი, ერთიც დაიჭრა. მირ-ასადულამ რუსეთის საკონსულოს შეაფარა თავი. მირ-ასადულა იმ ფიდაების მეთაურია, რომელთაც დეკემბერში ქოიში მდგარ რუსის ჯარზე თავდასხმა ჰსურდათ, მაგრამ ვერ მოახერხეს.

ჩინეთის რევოლუცია

დეპეშები.

კულჯა. ახალ სუიდუნში თოფისწამლის საწყობის აფეთქება ჰსურდათ, მაგრამ რევოლუციონერებმა ხელი შეუშალეს.

მუკდენი. ლიაოიანს ახლო რევოლუციონერები და მთავრობის ჯარი ერთმანეთს შეებრძოლნენ. მთავრობის ჯარი რევოლუციონერებმა სძლიეს და 25 იანვარს ქალაქი ბაფანდიანი აიღეს.

გირინი. რადგანაც 23 დივიზიიდან ჩინელი ჯარის-კაცები გარბიან, დივიზიის შესავსებლად მოაგროვეს 1,000 მანჯური. მოხელენი თანდათან სამსახურს თავს ანებებენ.

ციციკარი. მთავრობა სცდილობს ჯარის მოგროვებას, რადგან მონგოლების თავდასხმისა ეფიქრება, ჯარის-კაცად ჩაწერის მსურველ ჩინელთა რიცხვი ძალიან ცოტაა. გუბერნატორის თანამდებობის ამსრულებელმა სუნსიაოდიანმა აქაურ ბანკს ნება მისცა 10 მილიონის ბანკნოტის გამოცემისა, რადგან ამ ფულში 3 მილიონ ნახევარი გუბერნატორს ერგება ადმინისტრაციისა და ჯარის შესანახად. ბანკნოტის გამოცემა აქაურ ბირჟაზე ძალიან დიდ არევ-დარევას გამოიწვევს.

პეკინი. ამბობენ, მანჯურთა ზოგიერთ მთავარს აზრადა აქვს მანჯურიაში იმპერატორის წაყვანა და მანჯურიის სამ პროვინციის დამოუკიდებელ მონარქიად გამოცხადებაო. მთავარნი სუ ძ კუნგი, ჰერცოგი ძიიცზე და თელიანი მუკდენში არიან და ჯაოერსუნის დახმარებით ამ საქმის მოგვარებასა სცდილობენო.

ბერლინი. გერმანია 18 იანვარს შეეკითხა ჩრდილოეთ ამერიკის შტატებს, რანაირად უყურებთ ჩინეთში ამბებსაო. ამერიკის პასუხიდან გამოირკვა, რომ ამერიკა საქმის დაწყებისთანავე სცდილობდა მებრძოლ მხარეთა მორიგებას. ყველა სახელმწიფო უნდა მოქმედებდეს ისე, რასაც დადებული პირობები უკარნახებს: ჩინეთის სუვერინეტეტი ხელუხლებლად უნდა დარჩეს. ასეთივე პოლიტიკა უნდა აწარმოონ სახელმწიფოებმა ჩინეთის სესხის საკითხშიო.

იტალია-ოსმალეთის ომი

დეპეშები.

რომი. კანევა მეფეს წარუდგა. მერე ხანგრძლივად ეთათბირა გარეშე საქმეთა და სამხედრო მინისტრებს და პრემიერიც ინახულა.

ტრიპოლი. ტრიპოლისა და სენზურის შუა ადგილებიდან ოსმალები იტალიელებმა განდევნეს.

გაზეთებიდან.

იტალიელთა დამარცხება.

მალტიდან „რუსკოე სლოვოს“ შემდეგი დეპეშა მიუღია: ბენგაზთან იტალიელები და ოსმალები ოთხს დღეს იბრძოდნენ. იტალიელებს 1300 კაცი მოუკლეს. ქალაქი ტრიპოლი ფაქტიურად ოსმალთა ხელშია. იტალიელებს ალყა შემოარტყესო.

კანევას რჩევა.

სარწმუნოდ იუწყებიან, რომში ჩასული კანევა მთავრობას ურჩევს, ბრძოლის საქმე უნდა გავაუმჯობესოთო შეუძლებელია ტრიპოლის შუაგულის მიღწევა, ვინაიდან ჯარის მისვლა-მოსვლა ძნელია, მით უმეტეს უდაბნო ადგილებშიო.

— ოსმალეთის პალატის ვიცე-პრეზიდენტი ვენაში ყოფილა და ჟურნალისტებისთვის უთქვამს ტრიპოლის დათმობა შეუძლებელიაო.

—„ექსცელზიორი“-ს კორესპოდენტი იუწყება, ტრიპოლი ფაქტიურად ოსმალთა ხელშიაო. ოსმალთა ჯარი კარგ გუნებაზეა, მხნედ არის. სურსათიც ბლომად აქვსო.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ.

ათინა. გაზეთ „ესტიას“ სიტყვით, საბერძნეთის ტახტის მემკვიდრეს, სოფიაში ყოფნის დროს, მეფე ფერდინანდისთვის ათინაში მოსვლა უთხოვნია. ფერდინანდს თანხმობა განუცხადებია. მარტში იგი ათინელებს ეწვევა.

ლისაბონი. მთელ პორტუგალიაში ქარიშხალი და ნიაღვარია. გზები წალეკა და მცხოვრებნი დიდად დააზარალა.

ვენა. ქრისტიან სოციალისტების გაზეთი „რაიჰს-პოსტი“ მსჯელობს იმ უკმაყოფილების თაობაზე, რომელიც ხორვატელები უნგრეთისადმი იჩენენ. გაზეთი მომხრეა ტრიალიზმის განხორციელებისა; თუ მონარქიის ინტერესებს სასტიკად დაიცავენ, ტრიალიზმი ბევრად სჯობია დუალიზმსა, რადგანაც პირველ შემთხვევაში საქმის გადამწყვეტი უმრავლესობაა, მეორეში კი—მოუხეშავი ძალაო.

ბელგრადი. ბატონიშვილი ალექსანდრე რივიერას წავიდა. მლადო-რადიკალთა მეთაურმა ლუბა სტოიანოვიჩმა კაბინეტის შედგენა არ იკისრა.

ბერლინი. რეიხსტაგმა პრეზიდიუმის არჩევა 27 იანვრისთვის გადასდო.

ბელფასტი. ჰომრულის საკითხის თაობაზე დანიშნულ კრებაზე მიმავალ ჩერჩილის ავტომობილს წინ გადაეღობნენ ჰომრულის მოწინაღმდეგენი. საქმეში ჯარი ჩაერია. კრების მახლობლად 5000 ჯარისკაცი ჩააყენეს. ჰომრულის მოწინაღმდეგენი ქუჩა-ქუჩა კეტებით დადიან.

რუსეთი.

ვერნი. 25 იანვარს ძლიერი მიწის ძვრა იყო. 26 იანვარს, რიჟრაჟზე, მიწას გუგუნი გაჰქონდა.

პეტერბურგი. სათათბიროს კომისიამ, რომელსაც მართლმადიდებელთა ეკლესიის საქმე აქვს ჩაბარებული, სასურველად სცნო სრულიად რუსეთის სამღვდელოების კრების მოწვევა.

ხარკოვი. უნივერსიტეტის რექტორად აირჩიეს პრორექტორი ნეტუშელი.

პეტერბურგი. უსურიის მხედართა ბრიგადის უფროსი გენერალ-მაიორი ტოლმაჩევი ჟანდარმთა ცალკე კორპუსის უფროსად დანიშნეს.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. ხუთშაბათს, 26 იანვარს, ქ-ნ ელ. ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ წარმოადგინეს „მასხარები“.

საზოგადოდ ბენეფისი მსახიობისთვის მთელი კულტურული დღესასწაულია, როდესაც მას ჯერ ერთი საშუალება ეძლევა ისეთი შინაარსის პიესა ამოირჩიოს, რომელიც თვისი დედააზრით შეეფერება მობენეფისეს გემოვნებას და ამასთანავე ის იმ გვარ უმთავრესს როლს ირჩევს ასასრულებლად, რომლითაც მაყურებელთა თვალწინ გადაუშლის სავსებით თუ არა, უმთავრესს და მახასიათებელ მხარეს მაინც თვისი სასცენო უნარისა, თვისი ნიჭიერებისას.

თუ პიესის შინაარსი მობენეფისეს გემოვნებას უნდა ეგუებოდეს, მაშინ ჩვენ მეტად გვაკვირვებს ასეთი თავისებური გემოვნება არამც თუ მობენეფისესი, არამედ თვით დრამატიულ საზოგადოების გამგეობისა, რომლის დაკვეთითაც და საფასითაც ეს კომედია გადუთარგმნიათ.

საკვირველია, ღმერთმანი: კაცმა ფული და დრო დახარჯოს იმიტომ რომ ათარგმნინოს ისეთი მართლა მასხრული (თვისი უარყოფითი მხარეებით) ნაწარმოები, როგორიცაა კომ. „მასხარები“... ვერც შინაარსით, ვერც ფორმით ვერ შეუძლიან იმან დააკმაყოფილოს მარტივი გემოვნების მაყურებელიც კი. სიუჟეტის გადმოცემით მკითხველს თავს არ მოვაბეზრებ, მით უმეტეს იმ იმედით, რომ დრ. საზ. გამგეობა ამ პიესას სადმე არხივის უკანა თაროზე შეინახავს; ვიტყვით მხოლოდ, რომ შიგ უმარილო დაცინვაა საფრანგეთის ყოფილ ფეოდალების ფუქსავატურ ცხოვრებისა. ნეტავი თქვენი დღეგრძელობით ამ პიესაში მობენეფისეს უმთავრესი როლი მაინც ჰქონოდა! დავუმატებ ამას, ბატონებო, ქრონიკული სენია ჩვენი არტისტების უმრავლესობისა - როლების უცოდინრობა და სრული მოუმზადებლობა, დიდი პაუზები, ერთი და იგივე ფრაზის ორის მიერ წამოძახება მარკიზის რიხიანად ნათქვამი—**„დაჩლუნგებული სარკე და დამსხვრეული ხმალი“** და მაშინ ვერ გამტყუნებთ საზოგადოებას, თუ იგი გაურბის ქართულ თეატრს...

პიესის მრავალ ამსრულებელთა შორის, ასე თუ ისე სული არ წაიწყმინდეს: იმხნელმა, მგალობლიშვილმა და ქ-ნმა დავითაშვილმა.

კომედიის შემდეგ დადგეს „60 წლის არშიყი“, ვოდევ. 2 სურათად, თხზ. მობენეფისე ე. ჩერქეზიშვილისა. თუ საზოგადოდ ვოდევილისთვის არავითარი აზრი და მთლიანობა საჭირო არ არის,—მაშინ არა უშავდა რა. შიგა და შიგ საოხუნჯო სცენებია და სიტყვა-მოსწრებული ფრაზებია და ცოტაოდენად წაავგავს პიესას „ბიძიასთან გამოხუმრება“. შინაარსის გადმოცემა ზედ-მეტად მიგვაჩნია. ამ ვოდევილშიაც თითქმის ყველა დამსწრეთ უფრო მოეწონათ დუდუკზე ლეკური მოხდენილად შესრულებული ბ. ყარალაშვილისა და მობენეფისეს მიერ. საზოგადოება წარმოდგენით უკმაყოფილო დაიშალა და საბუთიანადაც.

წარმოდგენას ხალხი საკმაო დაესწრო.

გ. ა—ლი.

სახალხო თეატრი. „გამცემელი“, დრამა ი. გედევანიშვილისა სახალხო სახლის სცენაზე. მოსალოდნელი იყო, რომ სახალხო სახლთან არსებულ სცენის მოყვარეთა წრის ნიჭიერი რეჟისორი ალ. წუწუნავა ჩვეულებისამებრ თავისებურებას შეიტანდა როგორც პიესის დადგმაში, ისე ახსნა-განმარტებაში. ასეც მოხდა. პიესას ჩვენი მკითხველი უკვე იცნობს. ამიტომ შევჩერდებით წარმოდგენის მხოლოდ იმ მხარეზე, რომელიც ახალ შუქს აყენებდა წარმოდგენას. უპირველესად ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რეჟისორს სრულიად გამოუტოვებია მეორე მოქმედების პირველი სურათი. ამ სურათში ავტორს დახატული აქვს ნინასა და შაქროს სიყვარული. გამოაშკარავება მაყურებლისთვის ამ სიყვარულისა,—აი ის ერთად ერთი ახალი მომენტი, რომელიც იშლება მაყურებლის თვალ-წინ მეორე მოქმედების პირველ სურათში. სხვა ყველაფერი დრამატიულ ხლართის გაძლიერებას არაფერსა ჰმატებს. შეიძლება ერთის შეხედვით ითქვას, რომ ეს სურათი მაინც აუცილებელია, რადგანაც შაქრო სწორედ აქ აძლევს ნინას-საბედისწერო წერილს არჩილისთვის გადასაცემადაო; მაგრამ ამ მხრით ეს სურათი დიდს სახარბიელოს არაფერს წარმოადგენს, რადგანაც მოულოდნელი გამომჟღავნება წერილის ავტორის ვინაობისა უფრო ძლიერს შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე. ამ მხრით ადვილად შეიძლება მეორე მოქმედების პირველი სურათის გამოტოვება. პიესაც არაფერს წააგებს, იქნება კიდეც მოიგოს. მაგრამ არის პიესაში ერთი ნაკლი, რომელიც, ჩემის აზრით, უფრო ძლიერდება ამ სურათის გამოტოვებით. უკანასკნელ მოქმედებაში შაქრო ნინას ეუბნება, თითქოს ამ უკანასკნელს იდეალი დამსხვრეოდეს. ეს იდეალი თვით შაქროა. პიესიდან ნათლადა სჩანს, რომ ეს მხოლოდ შაქროს ავადმყოფ ფანტაზიის ნაყოფი კი არ არის, არამედ სრული ჭეშმარიტებაა. ნინაც ჰგრძნობს რომ შაქრო ის აღარ არის რაც იყო. ბოლო ხანებში ალტაცებულ სიყვარულის ადგილს იჭერს მხოლოდ გრძნობა სიბრალულისა და თანაგრძნობისა. თუ ეს ასეა, მაშინ სხვაგან სადმე, თუნდა იმავ მეორე მოქმედობის პირველ სურათში, უფრო ნათლადა და მკაფიოდ უნდა იყოს გამოსახული ნინას ალტაცება შაქროს სიგმირით. მისი ხასიათის სიმტკიცითა და რწმენით. მაშინ შაქროს სიტყვებიც უკანასკნელ მოქმედებაში უფრო ადვილი გასაგები და საბუთიანიც იქნება. მეორე მოქმედების პირველ სურათში ავტორს ეს მხარე ნათლად არ ჩამოუქანდაკებია, მაგრამ იგი ცოტაოდენ მასალას მაინც იძლევა. სურათის გამოტოვებით ეს მცირედი მასალაცა ჰქრება, და შაქროს სიტყვებიც უკანასკნელ მოქმედებაში ბუნდოვან შთაბეჭდილებასა სტოვებს. თუ ავტორმა პიესა ამ მხრით შეაკეთა და პირველ მოქმედებაში მაინც ხაზი გაუსვა ამ მხარეს, მაშინ მეორე მოქმედების პირველ სურათის გამოტოვება თამამად შეიძლება. საზოგადოდ კი, მართლაც, ეს სურათი სრულიად არაფერსა ჰმატებს პიესის დრამატიზმის განვითარებას.

გარეგნულად პიესა ძალიან მხატვრულად იყო დადგმული. ყველა მოქმედებაში გამოსჭვიოდა რეჟისორის დაკვირვებული ხელი. სოფლის ღარიბი ოჯახიშვილის ოთახი პირველ მოქმედებაში, გასაოცარის რეალიზმითა და გემოვნიანად მორთული სურათი მეორე მოქმედებაში—ყველა ეს სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე. განსაკუთრებით კარგი იყო მეორე მოქმედების სურათი. ძველებური, მდიდარ თავადიშვილის სახლის მეორე სართული თავის გულ-ღია აივანითა და სვეტებით წარმოადგენდა ისეთს სურათს, რომელიც სრულს ილიუზიასა ჰქმნიდა.

კერძო ამსრულებელთაგან ბ-ნი ალ. შანშიევი (შაქრო ჩვილიშვილი) კარგი იქნებოდა, რომ მოსაბეზრებელ ხელოვნურ პაფოსით სრულიად არ დაეჩრდილა მრავალმხრივი სულიერი განცდა მომქმედ პირისა. დაუსრულებელი ხელების მტვრევა და გულში ცემა ვერავითარი საშუალებაა ფსიხოლოგიურ განცდათა გადმოსაცემად. სხვა ამსრულებლებმა შეჰქმნეს ანსამბლი და ამით პიესის საერთო კარგს შესრულებას ხელი შეუწყეს.

Homo

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)
(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის.

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., საღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ, საღ. 5 ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარაში ღამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ, № 6, I—II კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—II კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს. 58 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარებ. № 9/6ь, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 11 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათომიდან;) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. № 5, I—III კლას. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 107, IV—III კლ. ღამის 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ, № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 4 ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/ 0, I—III კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1) გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტიანია (საკუთარ. საწოლებით).

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზე.

(ზამთარში).

რუსეთის საზოგადოებისა.

ბათომიდან გადის: ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკით-ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

სახალხო გემები ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

სახალხო-საქონლის გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარასკეობით შუაღამეს.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები	
1—2	**გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4	**მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6	**ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7	**შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).
8—9	**ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12	**ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

—::—

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველან შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩ. 51 და მალაკანის მოედანზე.

განცხადებანი

დაიბეჭდა და იყიდება
ნ. ვ. აბრამიანის
შემდეგი შრომანი:

I

სავაჭრო ბუღჰალტერიის სახელმძღვანელო,

ნავთის მრეწველობისა და ნავთის ქარხნის წარმოებასთან დაკავშირებულ იტალიურ ორმაგ ბუღჰალტერიის სისტემით. მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა ფასი 2 მ. 50 კ.

II

სარგებლის გამოსაანგარიშებელი ტაბლიცა,

1—30 დღეში, ¼—12%-დე, ყოველგვარ თანხისა 1—10000 მანეთამდე.
მეორე გამოცემა, ფასი 85 კ.

III

ყველასთვის გასაგები ცნობათა წიგნი,

საბუღჰალტრო კურსების მსმენელ ქალ-ვაჟთა და კანტორ. მომუშავეთათვის, ფას. 30 კ.

ამ გამოცემათა საწყობი **ნ. აბრამიანის** საბუღჰალტრო კურსების ბინაზე, ტფილისი, ნიკოლოზის ქუჩა, № 22. ვინც პირდაპირ საწყობიდან ფასდადებით დაიბარებს, გადასაგზავნს არ იხდის. (10—193—5)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 8—3 ს. საღამ. 6—[illegible] ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. [illegible] ავადმყოფებს არ იღებს. [illegible] ქ. № 3 [illegible]

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღ საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 5

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრი ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი კბილისა ალ. სოლოდაშვილი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილი 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინი პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
„606“—11—12 ს. **შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

ბ. ა. ნავასარდიანი; 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი; 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. გაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
კბილის საექიმო კაბინეტი **ი. ა. ფრანკისა** 9—2 ს. წამლობა, პლომბის გაკეთება და ხელოვნური კბილების ჩასხმა.

საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
ი. ა. ფრანკი: 5—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ. 1074.2)

გამოცდილმა მასწავლებელმა
ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის,** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(т. 1084.74)

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ“-ზე
წელიწადი მერვე.

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:
24 **წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; 12 **წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.
საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს
დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინალური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოკაძესთან და **ერევანში** კ. ოდიშარიასთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**
(წ.—1627—22 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

ტფილისი სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა